

შპს „ყვარლის მარანი“
2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

თბილისი
2019

ს ა რ ზ ე ვ ი

შპს „ყვარლის მარანი“-ს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	3

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

აქტივები:		
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,846	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	22,299	3.2
გადახდილი ავანსები	781	
მარაგები	597,466	3.3
საგადასახადო აქტივები	10,754	
სხვა მიმდინარე აქტივები	154,903	3.4
ბიოლოგიური აქტივები	250,326	3.5
სხვა არამატერიალური აქტივები	1,382	3.5
ძირითადი საშუალებები	1,293,289	3.5
 აქტივები სულ:	 2,338,046	
 ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები	193,398	3.6
საგადასახადო ვალდებულებები	2,529	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	290,034	3.7
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	313,295	3.8
 ვალდებულებები სულ:	 799,256	
 კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3,257,264	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(1,718,474)	
 კაპიტალი სულ:	 1,538,789	
 სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	 2,338,046	

თანდართული შენიშვნები მე-11 დან მე-14 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 23 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ზვიად აბესაძე

მთ. ბუღალტერი ----- ქეთევან ზაქარიაძე

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2018 წელი	
ამონაგები	531,147	3.9
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(253,762)	
საწყისი მარაგები	674,955	
მარაგების შესყიდვა	186,675	
გადამუშავების დანახარჯები	-	
საბოლოო მარაგები	597,466	
საერთო მოგება	277,385	
სხვა შემოსავალი	109	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(9,356)	
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(6,651)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(46,816)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(67,790)	3.10
ფინანსური შემოსავალი	682	3.11
ფინანსური ხარჯი	(50,607)	3.12
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	96,955	
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	(28,317)	
გაუფასურების (ხარჯი) – მარაგები	(10,401)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	3,270	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	61,507	
მოგების გადასახადი	-	
წლის წმინდა მოგება	61,507	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივე	-	
წლის სრული შემოსავალი	61,507	

თანდართული შენიშვნები მე-11 დან მე-14 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 23 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ზვიად აბესაძე
მთ. ბუღალტერი ----- ქეთევან ზაქარიაძე

2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ყვარლის მარანი“ (საიდენტიფიკაციო კოდით #241569833) (შემდგომში - *კომპანია* ან *ჯგუფი*) მიერ. შპს ყვარლის მარანი დარეგისტრირებულია 2005 წლის 14 მარტს ქ. ყვარელის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერ: 55/5გ-63; მისი საიდენტიფიკაციო კოდია -241569833, იურიდიული მისამართი - საქართველო, ყვარელი. ჭავჭავაძის 13.

1.2. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორს წარმოადგენს: ლაშა პაპაშვილი (პ/ნ 01008006654), რომელსაც ეკუთვნის კაპიტალში წილის 100%.

1.3. კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

- ა) მმართველი პარტნიორი;
- ბ) დირექტორი.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არის დირექტორი - ზვიად აბესაძე

1.3ა. 2018 წლის 19 ოქტომბრიდან კომპანიას ჰყავს შვილობილი საწარმო:

შპს „ ყვარლის მარანი 2011“ საიდენტიფიკაციო კოდი 441554499, რეგისტრირებული 07.10.2011 წ. იურიდიულ მისამართზე: ყვარელი რუსთაველის ქ.#3. წილობრივი მონაწილეობა - 100 % ლაშა პაპაშვილი (პ/ნ 01008006654);

1.4. ჯგუფის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობებია:

01210 ყურძნის მოყვანა/რეალიზაცია;

11020 ალკოჰოლური სასმელების წარმოება/რეალიზაცია ;

1.5. ბიზნეს-გარემო

ჯგუფი საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

1.6. წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. ჯგუფი წარმოადგენს მესამე ე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება 2016 წლიდან წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მიხედვით. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ჯგუფის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულო არ არის .

2.2. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „მსს ფასს“-ებთან - შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში

2.3. გათვალისწინებულია „მსს ფასს“-ების ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის „მსს ფასს“-ების გადასვლის თარიღია 2016 წლის 1 იანვარი. ჯგუფმა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგინა საანგარიშო წლის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, რეტროსპექტულად გადაანგარიშდა საბუღალტრო ნაშთები 2016 წლის ბოლო (31 დეკემბრის) მდგომარეობით.

2.5. ჯგუფის მიერ 2018 წელს ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების ძირითადი საფუძველი

ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს „მსს ფასს“-ების შესაბამისად. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, განმარტებით შენიშვნებს.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ჯგუფის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, კრედიტორებისგან მიღებული კრედიტ-ნოტები, დადებითი სავალუტო

საკუროსო სხვაობა, საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან და სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები. ჯგუფის საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ ჯგუფს აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთა გაწეული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საექვო მოთხოვნების აღიარება

სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) ძირითადი საშუალებებისა ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ დღიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების/ გამოყენება.

დ) ძირითადი საშუალებებისა ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად,

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არამორტიზდება.

2.6. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს.

გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლება საგადასახადო მოგებიდან (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობიდან) მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან ან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი; 1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი; 1 EUR=3.1044 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1.) ფული და ფულის ეკვივალენტები

	(ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	154
ნაღდი ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	6,692
	6,846

3.2.) სავაჭრო მოთხოვნები

	(ლარი)
ადგილობრივი დამკვეთები	22,299
არარეზიდენტი დამკვეთები	-
დებიტორული დავალიანების გაუფასურება	-
	22,299

3.3.) მარაგები

	(ლარი)
გასაყიდად გამიზნული საქონელი	593,695
სხვა მარაგები	3,771
	597,466

3.4.) სხვა მიმდინარე აქტივები

	(ლარი)
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	-
მოთხოვნები ანგარიშვალდებულ პირების მიმართ	(0)
სხვა მიმდინარე აქტივები	154,903
	154,903

3.5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	ავტოსატრანსპორტო საშუალებები (GEL)	მანქანა- დანადგარები (GEL)	კომპიუტერული ტექნიკა და (GEL)	საოფისე აღჭურვილობა (GEL)	ავეჯი (GEL)	სხვა (არამატ. აქტ.) (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება								
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,045,798	313,230	101,515	-	12,157	265,377	4,290	1,886,361
დამატება	262,590	-	-	1,585	-	99,082	-	384,608
(შემცირება)	(263,841)	-	-	-	-	-	-	(263,841)
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,044,547	313,230	101,515	1,585	12,157	364,459	4,290	2,007,128
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება								
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,265	234,004	63,387	-	11,935	4,775	2,337	415,315
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	2,326	20,591	6,786	211	172	2,388	571	46,816
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18,592	254,595	70,173	211	12,107	7,163	2,908	462,131
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,025,955	58,635	31,341	1,373	50	357,296	1,382	1,544,997

3.6.) სავაჭრო ვალდებულებები

	(ლარი)
რეზიდენტი კომპანიები	193,267
რეზიდენტი ფიზიკური პირები	131
არარეზიდენტი კომპანიები	-
	193,398

3.7.) მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

	(ლარი)
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (ძირი)	267,660
მოკლევადიანი ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ (ძირი)	-
მოკლევადიანი ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ (ძირი)	22,350
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (პროცენტი)	-
მოკლევადიანი ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ (პროცენტი)	-
მოკლევადიანი ვალდებულება იურიდიული პირის მიმართ (პროცენტი)	24
	290,034

3.8.) გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	(ლარი)
გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (ძირი)	313,295
გრძელვადიანი ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ (ძირი)	-
	313,295

3.10.) ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

(ლარი)

საბანკო ხარჯები	649
დაზღვევის ხარჯები	2,125
ავტომანქანის და სხვა ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის	15,676
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	49,340
	67,790

3.11.) ფინანსური შემოსავალი

(ლარი)

დეპოზიტები ბანკში	682
	682

3.12.) ფინანსური ხარჯი

2018 წელი

(ლარი)

მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	50,607
ოვერდრაფტზე დარიცხული პროცენტი	-
აკრედიტივის საკომისიო ხარჯი	-
	50,607

მმართველობითი სისტემა

ჯგუფის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს ჯგუფის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. ჯგუფი აანალიზებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ჯგუფი დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- **საკრედიტო რისკი;**
- **ლიკვიდურობის რისკი;**
- **საბაზრო რისკი.**

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ჯგუფი მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს ჯგუფისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეულ კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეებიც არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც

შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებული ქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორიცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც და კავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი - ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო არის მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ),

რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ესმოდელო აირჩია. მოდელოს თავისებურები, თვისობრივი სიახლე და საგადასახადო პრაქტიკის არარსებობა ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში. მართალია, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, მაგრამ არ არის გამორიცხული ის, რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს და საგადასახადო ორგანოებს სხვა პოზიცია ჰქონდეთ ანალოგიური საკითხების მიმართ.

სასამართლო დავები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,საერთო სასამართლოებში ჯგუფს სასამართლო დავები არ გააჩნდა.

3.13.საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ჯგუფის 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია მისი მენეჯმენტის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს. 01.01.2019-30.09.2019 პერიოდში არ მომხდარა ან არ არის ცნობილი რამე ისეთი მოვლენა ან ხდომილება, რომელიც გამოიწვევდა 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

აქტივები:

ფული და ფულის ეკვივალენტები	6,846	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	22,299	3.2
გადახდილი ავანსები	781	
მარაგები	597,466	3.3
საგადასახადო აქტივები	10,754	
სხვა მიმდინარე აქტივები	154,903	3.4
ბიოლოგიური აქტივები	250,326	3.5
სხვა არამატერიალური აქტივები	1,382	3.5
ძირითადი საშუალებები	1,293,289	3.5

აქტივები სულ: 2,338,046

ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები	193,398	3.6
საგადასახადო ვალდებულებები	2,529	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	290,034	3.7
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	313,295	3.8

ვალდებულებები სულ: 799,256

კაპიტალი



სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3,257,264
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(1,718,474)

კაპიტალი სულ: 1,538,789

სულ ვალდებულებები და კაპიტალი: 2,338,046

თანდართული შენიშვნები მე-11 დან მე-14 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 23 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი  ზვიად აბესაძე
მთ. ბუღალტერი  ქეთევან ჯაჭარიძე

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2018 წელი	
ამონაგები	531,147	3.9
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(253,762)	
საწყისი მარაგები	674,955	
მარაგების შესყიდვა	186,675	
გადამუშავების დანახარჯები	-	
საბოლოო მარაგები	597,466	
საერთო მოგება	277,385	
სხვა შემოსავალი	109	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(9,356)	
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(6,651)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(46,816)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(67,790)	3.10
ფინანსური შემოსავალი	682	3.11
ფინანსური ხარჯი	(50,607)	3.12
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	96,955	
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	(28,317)	
გაუფასურების (ხარჯი) - მარაგები	(10,401)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	3,270	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	61,507	
მოგების გადასახადი	-	
წლის წმინდა მოგება	61,507	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივე	-	
წლის სრული შემოსავალი	61,507	

თანდართული შენიშვნები მე-11 დან მე-14 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 23 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ზვიად აბესაძე

ქეთევან ზაქარიაძე